საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება, საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ხარისხიან განათლებას მოსწავლის ინდივიდ. საგანმან. საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად მისი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვ., ეთნ., რასობრივი, რელიგ., გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

ი. გ. განკუთვნილია სპეც. საგანმან. საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისათვის, თუკი მოსწავლე, რ-საც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასის ეროვნ. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინ. მოთხოვნებს, საჭიროებს სპეც. საგანმან. მომსახურებას ან ეროვნ. სასწავლო გეგმის ადაპტაციას და ალტერნატიულ სასწ. გეგმას. სპეც. საგანმან. საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე ფიზიკურად უნარშეზღუდულია, დარღვეული აქვს ინტელექტუალური, სენსორული (სმენა ან მხედველობა) და მეტყველების განვითარება, ქცევითი და ემოციური მდგომარეობა, საჭიროებს გრძელვადიან ჰოსპიტალიზაციას, აქვს პედ. ხელმიშვებულობით განპირობებული სირთულეები სწავლაში.

განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. საქართვ. კონსტიტუციის, ზოგადი განათლების შესახებ საქართვ. კანონის, პროფ. განათლების შესახებ საქართვ. კანონის, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის, საქართველოს ეროვნ. სასწავლო გეგმისა და „განათლება ყველასათვის" საერთაშ. პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისათვის, მიუხედავად მისი საჭიროებისა და მახასიათებლებისა.

დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზ-ბისათვის ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა ჰომოგენურობა განათლების სისტემაში, რაც საბჭოთა სისტემისგან მემკვიდრეობით გვერგო. სსსმ ბავშვები მკაცრად სეგრეგირებულები იყვნენ საზ-ბისაგან სპეციალურ სკოლებში და არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თანატოლებთან ერთად მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ცვლილებები სსსმ ბავშვებისთვის განათლების სფეროში დაიწყო 1994-იდან არასამთავრობო სექტორის მიერ.

სსსმ ბავშვების განათლება, როგორც პრიორიტეტი, სახელმწიფომ აღიარა 2004, როდესაც დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. ი. გ-ის პრინციპების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანს. და მეთოდოლ. დახმარება გაუწია ნორვეგიის მთავრობამ. საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს მიერ განხორციელდა პირველი სახელმწ. პროექტი: „ინკლუზიური სწავლების დანერგვა თბილისის 10 სკოლაში", რ-მაც დიდად შუწყო ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზ-ბაში ინტეგრირებას და საფუძველი დაუდო ი. გ-ის შემდგომ პროექტებს, პროგრამებს და ინიციატივებს. საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ი. გ-ის დანერგვას საქართველოს ყველა სკოლაში.

ა. ლაღიძე

თ. პაჭკორია